



ლიტერატურული მესხეთი

№7 (284)
ივლისი
2022 წელი
ფასი 40 თეთრი

გამოცემის ოცდაათოთხე წელი

“LITERATURULI MESKHETI”

პასხანგ გურული

(გაგრძელება. დასაწყ. წინა ნომერში)

რამი გამოიხატა რუსეთის დაინტერესება

ქართლ-კახეთის სამეფოს რუსეთის იმპერიის მფარველობაში შესვლის შესახებ დასაბუთებული ხელშეკრულების მეფე ერეკლესული პროექტის გაცნობის შემდეგ, 1782 წლის დეკემბერში, ეკატერინა II-მ ალექსანდრ ბუზობროდკოს შემდეგი მითითება მისცა: 1. ქართველ მეფეებთან (ერეკლე II, სოლომონ I - ვ. გ.) უნდა დადებულიყო სამოკავშირეო ტრაქტატი, მეფეებისათვის არ უნდა ეწოდებინათ ქვეშევრდომები, არამედ – მოკავშირეები, რომლებიც რუსეთის იმპერიის მფარველობაში იმყოფებოდნენ; 2. ქართული სამეფოებისაგან რუსეთის იმპერიას არანაირი ფულადი გადასახადი არ უნდა აეღო, გარდა ლითონისა და მინერალებისაგან მიღებული შემოსავლის ნახევ-

ტიკის არსს. ამიტომ იყო, რომ იმპერატორმა ამ პოლიტიკის განხორციელება სწორედ მას დაავალა. გრიგორი პოტიომკინის ჩაბარება არა მარტო ირანსა და საქართველოსთან, არამედ მთელ მახლობელ აღმოსავლეთთან ურთიერთობა. ამასთან ერთად, იმპერატორის ფავორიტმა მიიღო განუსაზღვრელი უფლება მოსილება, შეეძლო ნებისმიერი საკითხი პირადი შეხედულებისამებრ გადაეწყვი-



დაავალა, რომელსაც თანამედროედ დაუნიშნა პოდპოლკოვნიკი ვასილი ტამარა, რომელიც თბილისში ჩამოვიდა და ხელშეკრულების პროექტს ერეკლე II-ს წარუდგინა. გრიგორი პოტიომკინი ერეკლე II-ს სთავაზობდა, არ გაეჭიანურებინა ხელშეკრულების მომზადება და ქართლ-კახეთის სამეფოს წარმომადგენლები დროულად გაეზავნა კავკასიის ხაზზე. გრიგორი პოტიომკინი ერეკლე II-ს იმასაც აცნობებდა,

დინების ადგილიდან მდინარე დუნაის შავ ზღვაში ჩადინების ადგილამდე, ადვილად არ დათმობდა, რადგან სულთანმა ამ რეგიონის შენარჩუნებას ოსმალეთის სასიცოცხლო ინტერესად მიიჩნევდა. ქუჩუკ-კაინარჯის ზავის დადებამდე (1774 წ.) XVIII საუკუნის 80-იანი წლების დამდეგამდე განვილიშა პერიოდმა რუსეთის იმპერატორისათვის ცხადი გახადა: 1. რუსეთ-ოსმალეთის დაძაბულ ურთიერთობას თავიანთ სასარგებლოდ კარგად იყენებდნენ ევროპის დიდი სახელმწიფოები (ინგლისი, საფრანგეთი, ავსტრია, პრუსია). ოსმალეთთან დაძაბული ურთიერთობის პირობებში, ევროპის საქმეებში რუსეთის აქტიური სამხედრო ჩარევა, სერიოზულ საფრთხესთან იყო დაკავშირებული; 2. აზოვისპირეთისა და შავი ზღვისპირეთიდან ოსმალეთის განდევნა, ყირიმის სახანოს დაპყრობა რომ რუსეთს ევროპაში აქტიური პოლიტიკის გატარების საშუალებას მისცემდა, ცხადია, კარგად ესმოდათ ევროპის დიდ სახელმწიფოებსაც; 3. აზოვისპირეთსა და ჩრდილოეთ შავი ზღვისპირეთიდან ოსმალეთის განდევნის, ყირიმის სახანოს დაპყრობის გარეშე რუსეთის იმპერია ბალკანეთის ნახევარკუნძულზე პოზიციებს ვერ

აზრევანი ცუდსა და უაზრესს შორის (ერეკლე მეორის საგარეო-პოლიტიკური ორიენტაციის შეფასებისათვის)

რისა, ყველანაირი შემოსავალი უნდა დარჩენოდა ქართველ მეფეებს. ყოველწლიური გადასახადის სახით რუსეთს უნდა მიეღო მხოლოდ აბრეშუმში, ლეინო და ცხენები; 3. ჯარის შესანახი სუფსილია უნდა გამოყოფილიყო ომის დროს ჯარის რაოდენობის მიხედვით, ხოლო პირველ ხანებში ჯარის შესანახად უნდა გამოიხატულიყო გარკვეული რაოდენობის თანხა. რუსეთის იმპერატორს ეკატერინა II-ს გაცილებით ფართო, შორს მიმავალი გეგმები ჰქონდა, ვიდრე ქართლ-კახეთის სამეფოს მფარველობაში მიღება და მისი მტრებისაგან დაცვა იყო. იმპერატორს არც ერეკლე II-ის შეთავაზებული მფარველობითი ხელშეკრულების პირობები აინტერესებდა და კონკრეტულად, არც ქართლ-კახეთის სამეფოდან წლიურად მისაღები 250.000 მანეთი (ეს თანხა იმდენად მცირე იყო, რომ ქართლ-კახეთში გამოსავლადი ორი რუსული ბატალიონის შესანახადაც არ იკმარებდა). ეკატერინა II-ს ჩაფიქრებული ჰქონდა სამხრეთ კავკასიაში ქრისტიანი ხალხებისაგან ისეთი სახელმწიფოს შექმნა, რომელიც მხოლოდ რუსეთის იმპერიაზე იქნებოდა დამოკიდებული. ამისათვის კი ამ ხალხების ირანისა და ოსმალეთის ბატონობისაგან გათავისუფლება იყო აუცილებელი. მხოლოდ ამ მიზნის განხორციელების ნადილი ამოძრავებდა რუსეთის იმპერატორს, როდესაც მეფე ერეკლე II-ის თხოვნას გაუწია ანგარიში. ეკატერინა II-ის ფავორიტი გენერალ-ანშეფი გრიგორი პოტიომკინი ყველაზე უკეთ ჩასწვდა კავკასიური პოლი-

ტიკის არსს. ამიტომ იყო, რომ იმპერატორმა ამ პოლიტიკის განხორციელება სწორედ მას დაავალა. გრიგორი პოტიომკინის ჩაბარება არა მარტო ირანსა და საქართველოსთან, არამედ მთელ მახლობელ აღმოსავლეთთან ურთიერთობა. ამასთან ერთად, იმპერატორის ფავორიტმა მიიღო განუსაზღვრელი უფლება მოსილება, შეეძლო ნებისმიერი საკითხი პირადი შეხედულებისამებრ გადაეწყვი-

რომ ქართლ-კახეთის სამეფოში რუსეთის ჯარის ორი ბატალიონის გამოგზავნა პაველ პოტიომკინს ჰქონდა დაავალებული. რამ გამოიწვია რუსეთის გააქტიურება 1782 წელს ბუნებრივია, ისმის კითხვა: რა მიზეზებმა განაპირობა ის, რომ თერთმეტწლიანი ლოდინის შემდეგ ეკატერინა II-მ 1783 წელს ქართლ-კახეთის სამეფოს მფარველობაში მიღება მაინც გადაწყვიტა? ამ კითხვას პასუხის გაცემა აუცილებელს ხდის რუსეთის იმპერიის აღმოსავლური პოლიტიკის გაზრდას XVIII საუკუნის 80-იანი წლების დამდეგიდან. 1782 წლის სექტემბერში რუსეთის იმპერატორმა ეკატერინა II-მ მიიღო საბოლოო გადაწყვეტილება ყირიმის, ტამანისა და მთელი ყუბანისპირეთის დაპყრობის თაობაზე. რუსეთ-ოსმალეთის 1768-1774 წლების ომმა, ომის შემდეგ შექმნილმა სამხედრო-პოლიტიკურმა ვითარებამ, ეკატერინა II დაარწმუნა, რომ ოსმალეთი აზოვისპირეთსა და ჩრდილოეთ შავი ზღვისპირეთს, ყირიმის ნახევარკუნძულს, ანუ გეოსტრატეგიულ სივრცეს, მდინარე ყუბანის შავ ზღვაში ჩა-

მოიპოვებდა, რეგიონიდან ოსმალეთს ვერ განდევნიდა. ბალკანეთის ნახევარკუნძულზე ოსმალეთის ბატონობა, თავისთავად, ხელს უშლიდა რუსეთს მახლობელ აღმოსავლეთში გაჭრაში; 4. აზოვისპირეთისა და ჩრდილოეთ შავი ზღვისპირეთიდან ოსმალეთის განდევნის, ყირიმის სახანოს დაპყრობის გარეშე რუსეთს საშუალება არ მიეცემოდა საფუძვლიანად დამკვიდრებულიყო ჩრდილო კავკასიის ბარში, დაეპყრო ჩრდილო კავკასიის დაპატრონებისა და ამ რეგიონიდან მახლობელ აღმოსავლეთში გაჭრისათვის მოემზადებინა ნიადაგი; 5. შექმნილ ვითარებაში, ერთი შეხედვით, ყველაზე რეალური გამოსავალი ის იყო, რომ რუსეთის იმპერიას კიდევ ერთ ომში დაემარცხებინა ოსმალეთი და იძულებული გაეხადა იგი აზოვისპირეთის, ჩრდილოეთ შავი ზღვისპირეთისა და ყირიმის სახანოს დაკარგვას შეჭველებოდა, რაც რუსეთს მდინარე ყუბანის შესართავიდან მდინარე დუნაის შესართავამდე ტერიტორიის კონტროლის უფლებას მისცემდა. ეს ერთი შეხედვით მოჩანდა ასე, სინამდვილეში ვითარება გაცილებით რთული იყო. 1735-1739 წლებისა და 1768-1774 წლების ომებმა, მართალია, რუსეთს ოსმალეთზე გამარჯვება მოუტანა, მაგრამ იმპერიის სამხრეთი საზღვრების უსაფრთხოების თვალსაზრისით, თითქმის არაფერი შეცვლილა. პრაქტიკულად, გადაუჭრელი დარჩა ყირიმის სახანოს საკითხიც.

გაგრძელება გვ. 6 ▶

განცხადება



გაზეთ „ლიტერატურული მესხეთის“ რედაქცია აცხადებს ლიტერატურულ კონკურსს პოეზიაში.
საკონკურსო მასალა იგზავნება დევიზით: ერთი კონვერტი – საკონკურსო ლექსები, მეორე კონვერტი – ავტორის გვარი და სახელი, მისამართი, საკონტაქტო ტელეფონი, ლექსების სათაურები (კონვერტზე არ უნდა მითითდეს ავტორის ვინაობა). კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლია საქართველოსა და უცხოეთში მცხოვრებ ყველა მოქალაქეს, გარდა გაზეთ „ლიტერატურული მესხეთის“ რედაქციის თანამშრომლებისა, სარედაქციო საბჭოსა და ჟიურის წევრთა ოჯახის წევრებისა.

დაწესებული პრემიები:
გრან პრი – 3000 ლარი – ასპინძის საპატრიო მოქალაქის გზარ ასპინძისაგან;
პირველი პრემია – 1500 ლარი – ასპინძის მუნიციპალიტეტის მერიისაგან;
მეორე პრემია – 1000 ლარი – კერძო პირ ელდარ ალიევისაგან;
მესამე პრემია – 600 ლარი – სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტისაგან.
საკონკურსოდ იგზავნება მხოლოდ გამოუქვეყნებელი ლექსები არაუმეტეს ხუთისა.
კონკურსში გამარჯვებულთა დაჯილდოების საზეიმო ცერემონიალი გაიმართება სოფელ რუსთაველში, ტრადიციულ „პოეზიის სახალხო დღესასწაულზე – შოთაობაზე“.
საკონკურსო ლექსების მიღების ბოლო ვადაა 2022 წლის 10 სექტემბერი და იგზავნება შემდეგ მისამართზე:
0500, ასპინძის მუნიციპალიტეტი, დაბა ასპინძა, თამარის ქუჩა №3.
გაზეთ „ლიტერატურული მესხეთის“ რედაქცია.
საკონტაქტო ტელ. 599979524

დურმიშხან ბერიძე 80

წლები ვერ აშერებს ჭეშმარიტ შემოქმედს!



80 წელი შეუსრულდა ჩვენს დურმიშხანს, გაზეთ „ლიტერატურული მესხეთის“ სარედაქციო საბჭოს წევრს, პოეტს, მწერალს, დრამატურგს, ჟურნალისტს.

ნობის მის შემოქმედებას. გაზეთის დაარსების დღიდან კი მისი ნაწარმოებები ხშირად იბეჭდებოდა „ლიტერატურული მესხეთის“ ფურცლებზე.

„ლეგენდა თმოგვის ციხეზე“, მაგრამ, რატომღაც, სხვადასხვა მიზეზების გამო, დადგმა ვერ განხორციელდა.

გაზეთ „ლიტერატურული მესხეთის“ რედაქცია

რამე, როგორ გაეგებინო... მართალიც იყო. ის ჭკვიანი კაცი თითქოს საიდანტაც, შორიდან ეუბნებოდა სათქმელს და ესეც, როდემდე დაელოდებოდა იმის იქიდან დაბრუნებას.

მოეზადებოდა, გულანაბადს აიკრავდა და ხვალ დილიდანვე, უთენია, ვენახში გადაბარგდებოდა, ქონში დასახლებოდა, ფეხსაც არ მოიცვლიდა იქიდან.

ღმერთი გაუწყნარებდა... ჰოდა, ბადაგომაც ივარგა, მურაკისა და ძევის ღობეს გადაველო და ისინი თუ ცხენდაცხენ უტევდნენ, ეს ფეხდაფეხ ეკვითა...

მოვარდა და ბადაგომაც დეცა თავზე. გაზეთი, ეზომიც, რაღაც ხდებოდა. შეიღო ეზოში დარბოდა, აქეთ-იქით ედებოდა და რაღაცას დაძებულებდა.

ბადაგომ კარგად დაინახა, ჭკვიანი კაცი მინას ჩააშტურდა, მემკრთ თავი აიღო, თვალს სივრცეს ჰკიდა და რაღაც ჩაიბუზუნასავით.

ბადაგოს თავის დროზე, ფრონტზე ყოფნისას, სტალინგრადიდან ბერლინამდე მთელი გზა ფეხით ჰქონდა გაგული ისე, ცეკვაუბუნითა და ჰარალე-ჰარიპარალეს სიმძაღრ-სიმღერით კი არა, ბროლითა და ბოდისხევის გზა როგორ შეემუღებოდა.

ნეტავ ესენი ვინაა ოხრები და ტიალოდ არიანო, რა ქარმა მოხეტია და გადმოყვარა აქეთაო, ჩემ ადგილ-მამულთან რა ხელი აქვითო, ერთი გაფიქრება გაიფიქრა ბადაგომ.

ბადაგო და ცრემლები? ბადაგო და ვერე, ყველას დასანახად, ლამის საქვეყნოდ ტირილი? ოფლი კიდევ შოო, იმდენი დედენია, მთელ იმის დედულ-მამულს დააღვებოდა.

ბადაგოს კიდევაც ეცნო და კიდევაც ემწარა მჭედლის ნათქვამი... განა არა... თვითონაც, კამეჩის რქაში ხო არ ეძინა, ისიც ამქვეყნად არ იყო?!

ბადაგოს მისი გამოგადგება რო... ეხლა მტერი და დუშმანი ხმადახმალ როდია მოდის... უცხოელები, იმითი წინაპრები ჩვენმა წინაპრებმა კუდამოძუებულნი რო გარეკეს აქედანა, მოდიან და ფულითა და ათასნაირი მამაძაღობით ხელში იგდებენ, იმყოფობენ ქართულ მინა-წყალსა... იმით, აბა, რა უნდა დაეკლო... იქნე ეგ შენი ხმალი აქეთ-იქითა, მარჯვენა და მარცხენა, რამდენიც გინდა, რაა...

ბადაგო და ცრემლები... ბადაგო და ვერე, ყველას დასანახად, ლამის საქვეყნოდ ტირილი? ოფლი კიდევ შოო, იმდენი დედენია, მთელ იმის დედულ-მამულს დააღვებოდა.

ბადაგო და ცრემლები... ბადაგო და ვერე, ყველას დასანახად, ლამის საქვეყნოდ ტირილი? ოფლი კიდევ შოო, იმდენი დედენია, მთელ იმის დედულ-მამულს დააღვებოდა.

ბადაგოს კიდევაც ეცნო და კიდევაც ემწარა მჭედლის ნათქვამი... განა არა... თვითონაც, კამეჩის რქაში ხო არ ეძინა, ისიც ამქვეყნად არ იყო?!

ბადაგოს მისი გამოგადგება რო... ეხლა მტერი და დუშმანი ხმადახმალ როდია მოდის... უცხოელები, იმითი წინაპრები ჩვენმა წინაპრებმა კუდამოძუებულნი რო გარეკეს აქედანა, მოდიან და ფულითა და ათასნაირი მამაძაღობით ხელში იგდებენ, იმყოფობენ ქართულ მინა-წყალსა... იმით, აბა, რა უნდა დაეკლო... იქნე ეგ შენი ხმალი აქეთ-იქითა, მარჯვენა და მარცხენა, რამდენიც გინდა, რაა...

ბადაგო და ცრემლები... ბადაგო და ვერე, ყველას დასანახად, ლამის საქვეყნოდ ტირილი? ოფლი კიდევ შოო, იმდენი დედენია, მთელ იმის დედულ-მამულს დააღვებოდა.

ბადაგო და ცრემლები... ბადაგო და ვერე, ყველას დასანახად, ლამის საქვეყნოდ ტირილი? ოფლი კიდევ შოო, იმდენი დედენია, მთელ იმის დედულ-მამულს დააღვებოდა.



ზაზა ქინქლაძე

გზაში დედის გარდაცვალებისას

წეროთა გუნდი ბალახობს მინდვრად
თუ ნაქცეული სოკოებია?
ხეებ-კუნძები ბორგავს მორევში
თუ მონადირე ლოქოებია?

ეს ნისლის ქულა ტაატობს ხევში
თუ კოჭლი ცხვარი ჩამორჩა ფარას?
შუადღის მზეა თუ ოქროს საწმისის
ართავს მედეა და ახვევს ჯარას?

უფალს პალიტრა ჩამოუვარდა
თუ შემოდგომის ტყეა და ტბაა?
კოცონის კვამლი გამოდის კლდიდან
თუ დალ-ქალღმერთის გამლილი თმაა?

ეს ჩემი გული ფარფატებს გზაზე
თუ სისლისფერი რაღაც ფოთოლი?
დღეს დედაჩემი გარდაიცვალა,
დღეს მე, ბაბუა გავხდი ობოლი.

მსახიობური ტალანტის, ფრთონის
მწვერვალი იყო მისი „მედეა“,
მომავლის გარდა თეატრი ფოთის
ძველი დიდების მოიმედა.

სცენის მიჯნურმა აქ შეიყვარა
და ქურუმობა მუზის ებედათ,
მზიური წყვილი კვლავ შეიყვარა,
აქ წევს თეატრის ორი ლეგენდა.

ვიხსენებ ფოტოს სპექტაკლის შემდეგ, –
მსახიობების ელიტა ძველი,
მეც, ონავარი, მშობლებთან ერთად, –
მოგონებები მწველია, მწველი.

ვით ისრაელში ასულ ფოთელის
დავით ხუბელას მადლიერება,
უკვდავი არის მზე ხელოვნების,
მის ნათელს უნდა სდიონ ერებმა.

ომებია და პანდემია,
სატანამ ბევრი სული არია,
კუბო-მაცხერის ხმაა ნეტავი
თუ ანგელოზის არის არია?!

ბოლო პომადა გისვია, დედი,
ის ჰგავს პეპელას ჭიაფერაზე,
ორმოცდღიანი რეპეტიციაც,
შემდეგ – უფალთან, პრემიერაზე.

უკრაინა – 2022

დიდმარხვაში ისე თოვდა, ისე თოვდა,
მარხულობდა თითქოს თავად ზეცა მზისგან,
საქართველოს მეთათხად ეშმა სთხოვდა
აჰყოლოდა სისხლისა და ცეცხლის გრიგალს.

უკრაინა ძმათა ომში ჩაფლულიყო,
მართლმორწმუნე ქრისტიანთა დამარხვაში,
თოვდა, თოვდა თუ სულების ფერფლი იყო?!...
მე არ მახსოვს ასეთი რამ დიდმარხვაში.

ნანგრევები და ცხედრები, ეს რა მოგდით,
სისხლით დნება თოვლი მარილმომოყვრელი,
ყვირის ბავშვი: „არ მსურს მოვკვდე და თუ მოვკვდი,
მე ყველაფერს ღმერთს სიმართლეს მოვუყვები!“

ერთმანეთის მოძულე და უკარება
ღვთიური და ეროვნული ინტერესი?!...
მერამდენედ ცოდვა სკდება ყუმბარებად
და სულელები ფრენენ კვამლის ფანტაზმაში.

ბომბებისგან გადახნული დედამინა,
გაზაფხული სისხლის, ცრემლის ყვავილებით,
რას დათესავთ?! რას მოიმკით?! რას დაიცავთ
კანები სამოთხიდან აყრილები?!

კვლავ პლანეტას ინანილებთ ბატონები?!
მარსს ყიდულობთ?! იქაც გაგყავთ ავტობანი?!
გკონიათ რომ რამე ხდება თქვენი ნებით?!
დაგავინყდათ ცის ძალი და მხედრობანი?!

თქვენ რანი ხართ, გალაქტიკებ-ვარსკვლავების
ქარბორბლები როცა ირგვლივ ტრიალებენ?!
ეჰ, მტრედები, აფეთქებით დამფრთხალები,
დაკარგული სულებივით ფრთხილებენ.

ღვთის სახელით და ხატებით ანტიქრისტიე
სულებს გვტაცებს, ნიშანს გვაძებს ხელზე, შუბლზე,
ტაძრებშიაც იბარება, გვათილისმებს,
ნააქეზებს, წამოაგებს ხალხებს შუბზე.

სულ ვიგონებთ ახალ-ახალ ეტალონებს,
რომ ბურჯები რჯულისანი შევარყოთ,
ერთადერთი ცხოველი ვართ – ვქმნით კანონებს
იმისათვის, რომ ნიადაგ დავარღვიოთ.

თქვა უფალმა: „შენ მე ხარო – შენ ღვთის ხარო...“
შევიანათო! გულში ჯვარი შევიტანათო!
შევიყაროთ, ქრისტიანო, შევიყაროთ!
ერთი ღმერთი – ერთმანეთი შევიყვაროთ!

თამადა

სუფრის თავადი – თამადა არ უნდა დათვრეს თავადა,
რად გვინდა ის ბედაური, თუ შუა გზაში დავარდა,
დიდ სასმისს დიდი სიტყვა სჯობს, მუდამ მეხივით ვავარდა,
მელამისთენე ქურუმთა მოდგმისა არის თამადა.

მთვარისკენ მიფრენს ფარვანა

ღამურა მისდევს, მთვარისკენ მიფრენს
თავგანწირული ფარვანა,
სიბნელის ნისლში ქცეულა მთვარე
იმედის სხივად, ფარანად,
ერთ გულს ათასჯერ როდესაც კლავენ,
ან ღირს იმედი ან არა,
მივა ნეტავი?! მიღწევს მიზანს
უმწურო ფრთების ამარა?!
მგოსნისთვის – მუხა, პეპლისათვის კი
მთვარეა ზეცის მანანა,
უსაზღვრო ცაში ნათლისკენ მიფრენს
სული – პატარა ფარვანა.

ხილვა მამულის დიდებისა

დიდება, დიდება მარადი
იმ დღეებს, იმ წუთებს, იმ წამებს,
ვფიცავარ, სიკვდილის კარამდი
მამულო, შენს სულდგმას ვინამებ!

იმ ქუხილს, იმ ქარბუქს, იმ გრიგალს
სულისას, გულისას, რწმენისას,
იმ ზეცას, ცეცხლფენილ ბარიკადს,
ჯვარ-დროშას სისხლიან ფერისას.

დიად მზეს ცის იმპერიის,
ღვთიენათელს და აღმატებულს,
ზღვას, მთა-ზარს დიდ ივერიის
ერთ აზრით, ერთ რწმენით ანთებულს.

იმ ზათქს და იმ დიად შეტევას,
მიზანთა ტრიუმფებს არნახულს,
იმ ნათელ აისის ანთებას,
იმ მზიურ, ჭემმარიტ გაზაფხულს.

უფალი არ დააგვიანებს,
მსოფლიო შეიცვლის სამანებს.
მესამედს ამ საუკუნისა
აღსრულდეს განგება უფლისა.

ვფიცავარ, სიკვდილის კარამდი,
მამულო, შენს სულდგმას ვინამებ,
დიდება, დიდება მარადი
იმ დღეებს, იმ წუთებს, იმ წამებს!

შემოდგომის მწყობრი

შემოდგომის მწყობრი, ველი მზიანი,
ლიბრი ზეცა – ღრუბელ-ლაჟვარდიანი.

ლურჯი ბინდი, ზანზალაკთა წკარუნი,
ფერდობები წვიმით ჩამოპნკალული.
ფერადოვან ტყესთან ტუფის ტაძარი,
თრიმლის ფოთლებს მოდებული ხანძარი.

ფოთოლცვენის მოძრავი მოზაიკა,
განოლილი ველზე კირქვის დაიკა –
და იმ კლდეზე დაფრენილი გაგაზი,
შელამება მშვიდი, ნაზი, ლამაზი.

ყოველივე, ღმერთო, შენმიერია,
მიზიდავს და მხიბლავს დიდი ხანია,
ყოველივე ასე მშვენიერია,
თან გახარებს და თან სევდიანია.

მურად ნებერიძეს

რად აჩქარდი, ჩემო ძმაო, მურადო,
ყოფილიყავ ერთხანს სოფლის სტუმრადო,
ძმობა გვქონდა გულსაგულ და უხვადო,
იშვიათად თუ ვყოფილვართ უბრადო.
(პოლიტიკა გვაბუნებდა უმადლო);

ხელისგულზე გედო გული, მურადო,
სათევზაოდ, სალალობოდ, სუფრადო,
პოეზია, რწმენა გედო ულადო,
ქმნიდი ხატებს ახლებურად, უბადლოდ,
სულის სარკე გქონდა წმინდა, უზადო,
სულ თვალეები გიცინოდა უვადოდ,
ცოლ-შვილს ერუდუნებოდი მუდამო,
თუთუნს ეკვლევიანებოდი, მურადო,
რამემ უნდა წამიყვანოს უფლადო,
ძმის, შვილის სულს ახსენებდი ურვადო;
დღეს რომ სულეთს მიფარე ჩუმადო,
გამიჭირდა უშენობა, მურადო,
მე გულდენთო, ალალო და გულადო,
დამელოდე, მანდაც მოვალ სტუმრადო,
მონატრებულს შემეგებე ძმურადო

თევზაონა ლისზე აღდგომას

პაპანება მზეში უცებ ქარი ამოცივდა
და ლაჟვარდში მოაბნია შავ ღრუბლების ნიდა,
მერცხლები და ნამგალები გაიკრიფნენ ციდან,
ზოგი ნიავს შეეწონა – წყლის პირს დაეკიდა,
ბაყაყები მიიყუჟნენ, ჩიტმა ხმა გაკმინდა,
წვიმამ წამოუშაშუნა, ერთხანს წვრილად ცრიდა,
შემდეგ ისევ გაიდარა, მზე კვლავ გამობრწყინდა,
ბროლციალა მანანები მალე აღარ წვიმდა,
თევზი ანკესს გაურბოდა, ჭიას არ წინწინდა,
შორს ტივტივა მოწყენილი ჩანდა ერთი ციდა,
მეთევზური ხელმოცარვა თუმცა იმ დღეს მწყინდა,
ყოველივე იყო ნაზი, ლამაზი და წმინდა.

უშგული

ოდესღაც, როცა გნახე, უშგულო,
უმაღლე მიხვდი, რომ უშგულოდ
სვანეთი წარმართთა ამარია,
რომ სვანთა ბეთლემი ლამარია.

თამარი

საქართველოს მზე ჩასვლისწინარე,
დიდი ღამის წინ ნათელმფინარე.

გვალვის დაისი

ვირწოდი ჰამაკში ჩეროში,
მაამებდა ნიავის ლამუნი,
იცრებოდა ცარგვალი ჟვეროში,
ასდიოდა სამზუოს აღმური.

გრილდებოდა ნელ-ნელა დაისი,
მოვინატრე წვიმების წკრიალი,
ჩამავალ მზის ქასური ხალისით
ქედის მწვერვალს ლესავდა ბრიალით.

დაიბუდა თუ არა მნათობმა,
კვირიონის გაისმა ჟღერტული,
სიგრილუმი უჯობდა გართობა,
ჯერ არ ჩანდა სიბნელის ურდული.

ბოლო სხივის ნაკოცნი-ნანდობი
მთას შემორჩა პომადის კვალივით,
თვალეებს აფახურებდა მნათობი
კეკელუცი და მაცდური ქალივით.

ალისფერი ყურძენი თალარზე
დალ-ქალღმერთის ტუჩების ფერია,
დღეკეთილი კვლავ მიითვალა მზემ,
მალე მთვარის გამოვა ფერია.

ჭრიჭინების არ ისმის ჭუნირი,
ალბათ მალე წვიმების ჯერია,
მივინყებულ, დაკარგულ ჭურვივით
დუმს მინაში ყოფილი კერია.

ხანმოთევით დაყეფენ ძაღლები,
წუთისოფლის ხმაური იცნობა,
მინივიან ყურებში ძარღვები
და მიშხუის ცად მარადისობა.

გულის კომპასს გიშვერ

სიყვარულის მეტეორი დამეცა
და ჩემს გულში მოკვდნენ დინოზავრები –
ყველა ქალის ვნება გაქრა, გამექცა,
მენტარება მხოლოდ შენი თვალეები.

გულის კომპასს გიშვერ, სახემზიანო,
შენი ეშხი მისი საესავია,
დახე, მზეც კი პაემანზე გვიანობს,
ეტყობა, რომ შენი ნათესავია.

სიბერეში, სიკვდილის წინ დავიქადებ,
ზიარებას მივღებ და ვალიარებ,
მშვენიერო, თუ თავიდან დავიბადე,
უსათუოდ გიპოვი და შეიყვარებ.

მიუხედავად არა ერთი საგაზეთო წერილისა და სატელევიზიო გამოსვლებისა, მინის რეგისტრაციის პრობლემებზე, მიზანშეწონილად ჩავთვალე ერთხელ კიდევ ალვინიშო მინის რეგისტრაციის პრობლემური საკითხები.

საქართველოს მიერ დამოუკიდებლობის მიღებისთანავე, საქართველოს მინისტრთა კაბინეტის 1992 წლის 18 იანვრის N48 დადგენილებით, დაიწყო სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწების რეფორმა, არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწების – 1998 წლიდან. როგორც ცნობილია, საქართველოს მოსახლეობა, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწების მიღების მიზნით, დაიწყო სამ კატეგორიად და განისაზღვრა მინის ზღვრული მაქსიმალური ნორმა. სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწები საკუთრებაში ყოველგვარი საფასურის გადახდის გარეშე გაიცა. მინის მიმღებთა პირველ კატეგორიას მიეკუთვნება სოფლად მუდმივად მაცხოვრებლები და სოფლის მეურნეობაში დასაქმებულები. მათთვის მინის გასაცემი ფართობი განისაზღვრა ბარისა და ზეგნის რაიონებში – ერთ ჰექტრამდე, ხოლო იმ რაიონებში, სადაც ამის შესაძლებლობა იყო – 1.25 ჰექტრამდე. მთის რეგიონებში – 5 ჰექტრამდე. მეორე კატეგორიას მიეკუთვნენ სოფლად

2004 წელს საქართველოს მინის მართვის სახელმწიფო დეპარტამენტის დაუსაბუთებლად ლიკვიდაციის შედეგად, ლიკვიდირებული იქნა ამ სამსახურის რაიონული რგოლები და რაიონულ სამსახურებში არსებული ყველა დოკუმენტაცია (სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის მესაკუთრეთა რეგისტრაციის დოკუმენტაცია) სამწუხაროდ, დაიკარგა ან შეგნებულად განადგურდა.

მიწების მესამე რეგისტრაცია

როდესაც შემოღებულ იქნა მინის აზომვისა და აღრიცხვის ახალი სისტემა, მინის მესაკუთრეთა სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთების ახალი სისტემით აზომვისა და რეგისტრაციის მიზნით, საქართველოს მთავრობამ კრედიტის სახით აიღო 52 მილიონი გერმანული მარკა, 12 მილიონი დოლარი და ხელშეკრულება გააფორმა ერთ-ერთ გერმანულ ფირმასთან. ამ ფირმამ დაიწყო სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწების აზომვითი სამუშაოები. ამ ღონისძიების მიზანი იყო, აზომვის ახალი სისტემით უფასოდ დაზუსტებულიყო ფიზიკურ პირთა საკუთრებაში არსებუ-

საც შესაძლებლობა ჰქონდა, ან/და საჯარო რეესტრიდან დასჭირდა ამონაწერის განახლება, მასვე უნდა გადაეხადა აღნიშნული თანხა და მეოთხედ დაერეგისტრირებინათ თავის საკუთრებაში რამდენჯერმე დარეგისტრირებული ნაკვეთი. ყოველივე ამან გამოიწვია ის, რომ საჯარო რეესტრში 2016 წლისთვის სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მესაკუთრეთა მინების მხოლოდ 27% აღმოჩნდა რეგისტრირებული.

განსაკუთრებით აღსანიშნავია „ქონების ლეგალიზაციის შესახებ“ საქართველოს კანონი (მიღებული 2007 წლის 22 ივნისს) 2011 წლის 22 მარტს შეტანილი ცვლილებებით. კანონის მე-6 მუხლს დამატდა მე-7 პრიმა მუხლი. კანონის მე-7 მუხლს კი დამატდა მე-3 პუნქტი, რომელიც ითვალისწინებდა – იმ შემთხვევაში თუ მესაკუთრის მინის ნაკვეთის მიღება-ჩაბარების აქტი არ იყო სრულყოფილად შევსებული, აქტის მეპატრონეს თითოეულ კვადრატულ მეტრზე 15 ლარი უნდა გადაეხადა, წინააღმდეგ შემთხვევაში, მის მიმართ აღიძვრებოდა სისხლის სამართლის საქმე. სახელმწიფო მიღება-ჩაბარების აქტს ადგენდა ადმინისტრაციული ორგანო და მის მიერ გამოცემული სახელმწიფო აქტი სამართლებრივად სწორად უნდა ყოფილიყო შედგენილი. დაუჯერებელია, მაგრამ ფაქტია, რომ ფიზი-

რომ უმრავლეს კერძო ამზომველებს არ გააჩნდათ აზომვითი ნახაზის შესადგენად თანამედროვე ძვირად ღირებული ხელსაწყო, რის გამოც თავს იკავებდნენ უფასოდ ნახაზის გაკეთებაზე, რადგან არ ჰქონდათ იმედი, რომ დროულად აუნაზღაურდებოდათ განულები შრომის საფასური. ზემოთ აღნიშნული სერიოზული პრობლემები, შეცდომები და უთავბოლობა, ამით არ დამთავრებულა. ფიზიკურ პირებს, რომელთაც მინები რეგისტრირებული ჰქონდათ საჯარო რეესტრში და ასევე ხელთ ჰქონდათ ამონაწერი, სადაც აღნიშნული იყო, რომ, ფართობი დაზუსტებულია, მაგრამ, სამწუხაროდ, მაინც არ იყო გატარებული ელექტრონული რეგისტრაცია, ან/და ელექტრონული რეგისტრაცია არსებული მონაცემები განსხვავდება ამონაწერის მონაცემებთან შედარებით, რაც მათი ბრალი არ იყო, ახალ ამონაწერს არ აძლევდნენ და საჯარო რეესტრი ითხოვდა ახალ ელექტრონული რეგისტრაციის (აზომვითი ნახაზს), რეგისტრაცია კი, ასევე, სამწუხაროდ, ფასიანი იყო. თუ საჯარო რეესტრის გაცემულ ამონაწერსა და ელექტრონული რეგისტრაციის შორის იყო ცდომილება, ერთი კვადრატული მეტრიც კი, რომელიც თვით რეესტრის მიერ იყო დაშვებული ტექნიკური შეცდომა, მაინც ითხოვდნენ ახალ აზომვით ნახაზს და ხელმეორედ რეგისტრაციას, რაც ასევე გარკვეულ

რამდენჯერ და როდესაც უნდა

პარკისტრიროთ ერთი და იგივე მიწები?!

(ათეული მილიონი ტყუილზარალდაა განარჯული!)

მუდმივად მცხოვრები სხვა სფეროს მუშა-მოსამსახურეები. მათ განესაზღვრათ მინის ფართობი – ბარისა და ზეგნის რაიონებში 0.75 ჰექტრამდე. მესამე კატეგორიას მიეკუთვნენ ქალაქებსა და დაბებში მცხოვრებნი, მათ განესაზღვრათ 0.25 ჰექტრამდე მინის ნაკვეთი. ხოლო თბილისის საგარეუბნო ზონაში – 0.15 ჰექტრამდე.



თანხებთან იყო დაკავშირებული. ამით რა გამოდიოდა? მოქალაქე იხდიდა ფულს სახელმწიფო ორგანოების მიერ დაშვებულ შეცდომებზე! აღნიშნულიდან გამომდინარე, შეგვიძლია გავაკეთოთ დასკვნა, რომ მინის ბევრ მესაკუთრეს, ერთი და იმავე მიწაზე, ხუთჯერ მოუწია (ან მოუწევს) რეგისტრაცია და ოთხჯერ – შესაბამისი თანხის გადახდა. უსამართლობის ერთ-ერთ ფაქტს ასევე წარმოადგენდა ისიც, რომ 2000 წელს ტექნიკური ინვესტირების ბიუროს მიერ აღრიცხულ მინის ნაკვეთებსა და შენობა-ნაგებობებზე საჯარო რეესტრში არ ხდებოდა მისი რეგისტრაცია, ეს მაშინ, როდესაც აღნიშნულ ქონებაზე უკვე გაცემული იყო ცნობა, დახასიათება და ინვესტირების გეგმა. მიზეზად სახელდებოდა ის, რომ მინის ნაკვეთზე არსებული შენობა-ნაგებობები უკვე იმ დროისათვის აღარ არსებობდა. ეს ნაკვეთები აშკარად სახელმწიფო ან მუნიციპალური საკუთრებაში და აუქციონის წესით ყიდდნენ. ზოგიერთ შემთხვევაში, – ერთ ლარად. განსაკუთრებით აღსანიშნავია ისიც, რომ, იმ შემთხვევაში, თუ 2018 წლის 1 ივლისამდე, სხვადასხვა მიზეზით, საკუთრებაში არსებული მინის ნაკვეთები ახალი წესით არ დარეგისტრირდებოდა, მათ საკუთრებაში არსებული მინები გადადიოდა სახელმწიფო საკუთრებაში. ერთი წლის განმავლობაში შესაძლებელი იყო მისი განჩივრება, რაც იმას ნიშნავდა, რომ ერთი წლის შემდეგ მოხდებოდა მინების ნაციონალიზაცია.

მიწების პირველი რეგისტრაცია

ამასთან დაკავშირებით სოფლებსა და დაბებში იქმნებოდა მინის რეფორმის კომისიები, დგინდებოდა მინის მიმღებთა სიები და მისაღები ფართობები, სიები მტკიცდებოდა რაიონულ კომისიებზე, რომლის შემდეგ ხდებოდა სახელმწიფო მინის ნაკვეთების მიღება-ჩაბარების აქტების შედგენა და მესაკუთრეზე გადაცემა შესაბამისი ანაზღაურებით. აქტების საფასური, მინის ფართობის ზომის შესაბამისად, 30-70 მანეთს შეადგენდა. მინის ნაკვეთის მიღება-ჩაბარების სახელმწიფო აქტები დგებოდა ხუთ ეგზემპლარად და რეგისტრირდებოდა რაიონის მინათმონწიფის სამსახურის სპეციალურ ფურნალში. იმ დროს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, მინათმონწიფის სამსახური ექვემდებარებოდა საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს. რაიონში კეთდებოდა შესაბამისი ტერიტორიის რუკა მესაკუთრეების რეგისტრაციით.

ლი მიწები და მესამედ დარეგისტრირებულიყო ახლად შექმნილი საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში. დაუჯერებელია, მაგრამ ფაქტია, ფირმის მართვით ერთი ხელმძღვანელის ყოველთვიური ხელფასი შეადგენდა საქართველოს მინის მართვის სახელმწიფო დეპარტამენტის მთელი სისტემის 1660 თანამშრომლის წლიურ ხელფასს (კონტროლის პალატის შემოწმების მასალებიდან. ა.მ.). კიდევ უფრო დაუჯერებელია, მაგრამ ფაქტია, რომ სამუშაოები განხორციელდა, აღებული კრედიტი მთლიანად ათვისებულ იქნა და თითოეულ მინის მესაკუთრეზე შედგენილი მინის საკუთრების დოკუმენტების აბსოლუტური უმრავლესობა არ იქნა გამოყენებული დანიშნულებისამებრ. შეიძლება ითქვას, – უშედეგოდ დაიხარჯა 52 მილიონი გერმანული მარკა და 12 მილიონი დოლარი.

კურ პირს, რომელსაც სახელმწიფოს შესაბამისმა ორგანიზაციამ ხარვეზით მისცა სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის სახელმწიფო მიღება-ჩაბარების აქტი, თავისივე საკუთრებაში არსებული ერთი ჰექტარი მინის ნაკვეთის რეგისტრაციისთვის უნდა გადაეხადა 150 000 ლარი, თანაც ეტყოდნენ, – მაღლობა გვითხარით, რომ პასუხისმგებამ არ გაძლევთო. ხოლო იმ პირმა, რომელმაც უკანონოდ მიიტაცა სახელმწიფო საკუთრებაში არსებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და უკანონოდ ააშენა სახლი, ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებული მინის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების შესახებ, საქართველოს კანონის შესაბამისად, რომელიც ასევე მიღებულია 2007 წლის 11 ივლისს, უნდა გადაეხადა ერთ კვადრატულ მეტრ მინის ნაკვეთში 5 თეთრიდან 10 თეთრამდე (არ იფიქროთ სტილიზებული შეცდომა, სწორედ თეთრი და არა ლარი!)

მიწების მეორე რეგისტრაცია

რადგანაც, გაუგებარი მიზეზებით, გერმანული ფირმის მიერ ჩატარებული და მომზადებული მინის აზომვითი ნახაზები, რუკები და ელექტრონული რეგისტრაციის დანიშნულებით გამოყენებული, დადგინდა, რომ ახალი სისტემით მინის რეგისტრაციისთვის მესაკუთრეებს საკუთარი სახსრებით უნდა მოეხდინათ აზომვითი ნახაზის ელექტრონული რეგისტრაცია და რეგისტრაციის საფასური შეიდიოდა ფიზიკურ პირს უნდა გადაეხადა. 2004 წლიდან რეგისტრაციის მომსახურების საფასური გაიზარდა 50 ლარამდე (პლუს ერთი ლარი საბანკო მომსახურება), დაჩქარებული მომსახურებობა – 250 ლარამდე. 2008-2009 წლებამდე ფიზიკური და იურიდიული პირების მიერ დარეგისტრირებული მინის ნაკვეთების რეგისტრაცია ჩაითვადა დაზუსტებულად და საჭირო გახდა ახალი რეგისტრაციის განხორციელება, რისთვისაც მინის მესაკუთრეს მინის ნაკვეთის ახალი სისტემით აზომვაში უნდა გადაეხადა 50-200 ლარი, რეგისტრაციისათვის – 50 ლარი (პლუს ერთი ლარი საბანკო მომსახურებისთვის). ვი-

მიწების მესამე რეგისტრაცია


სამწუხაროდ, ამით არ დამთავრებულა მინების გაუგებარი და გაუთავებელი რეგისტრაცია. საქართველოს მთავრობა იძულებული გახდა 2016 წლის 3 ივნისს მიეღო ახალი კანონი (N 5153) – „სახელმწიფო პროექტის ფარგლებში მინის ნაკვეთებზე უფლებათა სისტემური და სპორადული რეგისტრაციის სპეციალური წესისა და საკადასტრო მონაცემების სრულყოფის შესახებ“. ამ კანონის შესაბამისად, შერჩეული იყო 12 საპილოტო სოფელი, რაზეც გამოყოფილი იქნა 12 მილიონი, რა დროსაც სახელმწიფო უზრუნველყოფდა უფასო სისტემურ რეგისტრაციას. დანარჩენ 4488 სოფელში მინების სპორადული რეგისტრაცია უნდა დამთავრებულიყო 2018 წლის 1 ივლისამდე. მიუხედავად იმისა, რომ პირველად რეგისტრაცია უფასო იყო, აღნიშნულ ვადებში რეგისტრაცია არ დამთავრებულა. მრავალ მიზეზთაგან ერთ-ერთი ის არის,

შეგვიძლია გავაკეთოთ დასკვნა: მინის მესაკუთრეების უმრავლესობამ, საკუთარი მინის ნაკვეთები ოთხჯერ მაინც დაარეგისტრირა: პირველად – რაიონში არსებული საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს მინათმონწიფის სამსახურში; მეორედ – საქართველოს მინის მართვის სახელმწიფო დეპარტამენტის რაიონულ სამსახურში და, მესამედ, – საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში შესაბამისი თანხების გადახდით; მეოთხედ – საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრში (ეს მდგომარეობა არ ეხება იმ ფიზიკურ პირებს, ვისაც, საერთოდ, არ დაურეგისტრირებიათ საკუთარი მინის ნაკვეთები). და, ბოლოს: საქართველოს მთავრობამ მიიღო გადაწყვეტილება: სხვადასხვა პერიოდში რეგისტრირებულ და არარეგისტრირებულ მინებზე, სახელმწიფოს ხარჯზე ჩაატაროს ყველა მინის ფართობის რეგისტრაცია-დაზუსტება. იმედს ვიტოვებთ, რომ აღარ მოხდება ისეთივე სერიოზული შეცდომების დაშვება და მილიონობით ლარის განიავება.

ანზორ მისიშვილი, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, სერთიფიცირებული ექსპერტი უძრავი ქონების (მინის) საკითხებში

სოსო გიქოშვილი - 60

სამაბალითო ლიტერატორი, ფოლკლორისტი



გაზეთ „ლიტერატურული მესხეთის“ არსებობის მანძილზე, არაერთი ცნობილი ადამიანი - პოეტი თუ მწერალი, პუბლიცისტი თუ საზოგადო მოღვაწე, სხვადასხვა დარგის ცნობილი მეცნიერი თუ რიგითი ადამიანი თანამშრომლობს, რომელთა დიდი მხარდაჭერის შედეგია, რომ გაზეთი რესპუბლიკური მასშტაბის ავტორიტეტულ გამოცემად იქცა.

ლორის მოძიებასა და მისი პოპულარიზაციის საქმეში. მისი დაუღალავი შრომის შედეგად ადიგენისა და ახალციხის მუნიციპალიტეტების მოსახლეობაში მოძიებული იქნა მდიდარი ფოლკლორული მასალა, რომელიც შესულია „მესხური ფოლკლორის“ I-II ტომებში. ყურადღებას იქცევს მისი სარეცენზიო წერილები, რომლებიც ასევე ხშირად იბეჭდება ქართულ პერიოდულ პრესაში.

გაზეთ „ლიტერატურული მესხეთის“ რედაქცია

საზღაურად სიყვანუღითვე ვიპალო!

მეცხლამები მეგობარსა და კოლეგას, ჩემს სოსო გიქოშვილს. დიდი სიყვარულითა და პატივისცემით ვულოცავ იუბილეს! ჩვენ პირველად მაშინ შევხვდით ერთმანეთს, როდესაც სამხარეთო გაზეთის - „სამცხე-ჯავახეთის“ სარედაქციო გუნდს ვეძინდით. სოსო პირველი იყო, ვინც ჩვენს გაზეთში მუშაობა ისურვა და ერთ-ერთი იმითგანია, ვისაც, გაზეთის არსებობის მანძილზე, ჩვენს შორის კოლეგიალობის რიტმი არასდროს დაურღვევია.

ქართული ლიტერატურის ქობაკი

შპს „ხერხემის“ სკოლის პედაგოგები, მოსწავლეები და თანამშრომლები, დიდი სიყვარულით ვულოცავთ 60 წლის იუბილეს. ვუსურვებთ ჯანმრთელობას, მხნეობას, მზევრძელობას თავის საყვარელ ოჯახთან ერთად.

ხის მძიებელი იყო. 2014 წლიდან კი სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის განათლების, ჰუმანიტარული და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტი. 2019 წლიდან კი - ფილოლოგიის დოქტორია.

ლებლის სტატუსით. 2018 წელს მონაწილეობა მიიღო იაკობ გოგებაშვილისადმი მიძღვნილ VI საერთაშორისო კონფერენციაში. ასევე ოთხჯერ მიიღო მონაწილეობა სამეცნიერო და რესპუბლიკურ კონფერენციებში. გამოქვეყნებული აქვს 7 ნაშრომი, 3 ლიტერატურული წერილი და ფოლკლორული მასალები. მიღებული აქვს პროფესიული განვითარებისათვის 10-ზე მეტი სერთიფიკატი. ხოლო სკოლის დირექციისაგან - 12 სამადლობელო სიგელი.

ბელა კაპანაძე, შპს „ხერხემის“ დირექტორი

ჩვენი სოსო

ვულოცავ ბატონ სოსო გიქოშვილს დაბადებიდან 60 წლის იუბილეს. მან მთელი ცხოვრება კეთილსინდისიერი გზით იარა და თავისი შრომით, თავისი ნიჭით, იგი მაღალი კვალი ფიკაციის პროფესიონალი მასწავლებელია. გაკვეთილი, ახალგაზრდობა, მოსწავლე, მისი მთავარი საზრუნავია.

ფილოლოგიური მეცნიერებისთვის მისი ნაშრომი „გიორგი შატერაშვილის შემოქმედების ძირითადი პრობლემები“. ეს იყო სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში პირველი სადისერტაციო დაცვა ქართული ლიტერატურის ისტორიის მიმართულებით, რაც ჩვენი უნივერსიტეტისა და ბატონი სოსოს დიდი წარმატება იყო.

მიისწრაფვის. ვუსურვებ ბატონ სოსოს ახალ-ახალ წარმატებებს მეცნიერულ და საგანმანათლებლო საქმიანობაში, პირველ რიგში - ჯანმრთელობას, დღეგრძელობას და წინსვლას. დიდხანს ესწავლებინოს თავისი საყვარელი მოსწავლეებისთვის და კვლავ ახალ-ახალი თაობები აღეზარდოს მესხეთისა და მთელი საქართველოსთვის!

პატივისცემით და ძმური სიყვარულით, ვახტანგ ინაშური

ღირსეული პიროვნების იუბილე

გაზეთ „ლიტერატურული მესხეთის“ მკითხველებისთვის კარგადაა ცნობილი სარედაქციო საბჭოს წევრის, ფილოლოგიის დოქტორის და პედაგოგის სოსო გიქოშვილის სახელი.

დიდი ავტორიტეტი როგორც მოსწავლე-ახალგაზრდობაში, აგრეთვე ნაყოფიერი ურთიერთობა სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა და კოლეგების შორის.

დღევანდელი ახალგაზრდებისთვის მისაბამ მაგალითად უნდა იქცეს. გილოცავთ, ბატონო სოსო, ღირსეულ იუბილეს და გისურვებთ, თქვენთვის ჩვეული თავდადებით, კვლავაც გაგაგრძელებინოთ ჩვენი მომავალი თაობის აღზრდის მამულიძვილი საქმეში ახალი წარმატებები.

იდეგარძელები, მრავალჟამიერ, ბატონო სოსო!

ლილი აჩელაშვილი, ახალციხის ცენტრალური ბიბლიოთეკის მენეჯერი

მეხსიერებას შემორჩა მისი პიროვნული ინდივიდუალობის მრავალი შტრიხი და სარედაქციო თუ პირადი ურთიერთობის ზოგიერთი ეპიზოდი. მას შემდეგ წლები გავიდა, მაგრამ მათი დავიწყება არ შეიძლება, რადგან ყველა მათგანი კოლეგიალობისა და უღალატო მეგობრობის მაგალითებია. მაღალბლო ვარ განგების, რომ შემოძლია დღესაც ვხვდებოდე მას, ვისმინო მისი მოსაზრებები სხვადასხვა საზოგადოებრივ შეხვედრაზე და, კიდევ - ვისმინო საქებაარი სიტყვები მისი მისამართით, როგორც არაჩვეულებრივ აღმზრდელ პედაგოგზე... ჩემთვის ერთ-ერთი დაუვიწყარი დღეთაგანია, როდესაც მან სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში, მეცნიერთა წინაშე, სადოქტორო ნაშრომი წარადგინა. მე ვისმენდი სოსოს ნაშრომის უმაღლეს შეფასებას დიდი მეცნიერებისგან და... მეც, დისერტაციის დაცვაზე მყოფ სხვა უამრავ მის მეგობართან და კოლეგასთან ერთად, ვიყავი ბედნიერი, ალბათ იმიტომ, რომ მიყვარს ეს უკეთილშობილესი, ზნემაღალი და უღალატად შრომისმოყვარე ადამიანი - სოსო გიქოშვილი!

არ მახსენდება ცენტრალურ ბიბლიოთეკაში გამართული სხვადასხვა თემატიკის არცერთი ღონისძიება, ბატონ სოსოს რომ არ მიეღოს აქტიური მონაწილეობა. გაზეთის მკითხველისა თუ აქტივისტებისთვის კარგადაა ცნობილი მისი გამართული ქართული ენით მეტყველება, ცალკე მსჯელობის და განხილვის საგნად მიმართა მისი ნაყოფიერი პედაგოგიური მოღვაწეობა კერძო სკოლა „ხერხემში“ და

სამკლასიან სკოლაში, მეოთხე კლასიდან სწავლა გააგრძელა ახალციხის შოთა რუსთაველის სახელობის N 1 საშუალო სკოლაში, რომელიც დაამთავრა 1979 წელს, შემდეგ მოიხდა სავალდებულო სამხედრო სამსახური და სწავლა გააგრძელა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტზე.

ათამდე სამეცნიერო ნაშრომი, აქტიურად თანამშრომლობს გაზეთ „ლიტერატურული მესხეთის“ ავტორია 30-მდე ლიტერატურული წერილისა, რომლებიც ძირითადად ეძღვნება გ. შატერაშვილის ცხოვრებასა და შემოქმედებას, ასევე მეოცე საუკუნის მეორე ნახევრის ქართველ მწერლებს.

მოძიებული და გამოქვეყნებული აქვს მესხური ფოლკლორის სამასამდე სალექსო სტროფი.

სოსო მასწავლებელს ვუსურვებ ჯანმრთელობას, დიდხანს სიცოცხლეს, წარმატებებს პედაგოგიურ საქმიანობაში.

რეზო ანდლუაძე, ახალციხის მერიის თანამშრომელი

მარინა ზაძელაშვილი, გაზეთ „მესხეთის უნივერსიტეტის“ რედაქტორი

თავს უფლებას მივიცემ და მის მცირე ბიოგრაფიას გავაცნობ მკითხველს: ბატონი სოსო დაიბადა ახალციხის რაიონის სოფელ ივლიტაში 1962 წელს, მუშის ოჯახში.

სწავლობდა სოფელ ივლიტის დაწყებით სკოლაში.

საქართველოს მწერართა კავშირის XXVI ყრილობის შესახებ

თვითრწმუნული ლიტერატურული კრიტიკა

მწერალი და ცხოვრება

გიორგი ოზაანელი

წინასწარმოცხადებული

საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში ჯემალ მებრძოლი, როგორც მკითხველი, პირველი მივიდა. სასურველი ჟურნალ-გაზეთები გამოიწერა და თავის ამოჩემებულ მაგიდასთან სწავლით მოკალათდა – ეს დღე ლიტერატურული პრესის გასაცნობად ჰქონდა გადადებული!

კითხვაში დრო შეუმჩნეველად გაიპარა – შუადღე კარგა ხანია გადავიდა... დაილაღა, მოშივდა. თან ნაირ-ნაირი მხატვრული ღირსების პროზაული ტექსტები გუნება-განწყობილებას წარამარა უცვლიდა და უმონყალოდ ფიტავდა! მაგრამ ბიბლიოთეკა მაინც არ ეთმობოდა – რაკი დაგეგმილი ჰქონდა, თავს ძალას ატანდა, რათა რაც შეიძლება მეტის წაკითხვა მოესწრო!

რეზო თაბუკაშვილის რვა-ფურცლიან მოთხრობაში „ავტობიოგრაფიული პროფილი“ („ლიტპალიტრა“, 2007 წ., N1), სულ სქელ-სქელი ჭიქებისა და ნაზი ფუფერ-ბოკლების წკრიპი ისმის და მრავალფეროვანი სასმელი ალაზანივით მოტბორავს!

აჰა, თქვენც დარწმუნდით!

„კონიაკით შემუსვრილი (უნდა იყოს შემუსვრილი. ჯ. მ.) ჭაბუკი“.

მაგიდაზე ნახევრად ჩაცლილი „ენისელის“ ბოთლი და ხაჭაპურები ეწყობა (უხერხულია ბოთლ(ებ)ზეც ითქვას – ეწყობა. ჯ. მ.).

„– მოდი, მოდი, შე მსმელო კონიაკისა, არყისა და სხვათა (უნდა იყოს სხვათა. ჯ. მ.) სასმელთა გრადუსიანთა“.

ხაზგასმა ყველგან ავტორისეულია.

„ენისელის“ ბოთლს ფერდზე (ფერდზე?! ჯ. მ.) იკრავდა“.

„ირამ კონიაკი ჭიქებში ჩამოასხა“.

„– მოდი, ჩავარატყათ ერთიც (უნდა იყოს „მოდი, თითოც ჩავარატყათ“. ჯ. მ.)“

„კონიაკი ჩამოასხა გეგამ (უნდა იყოს „გეგამ კონიაკი ჩამოასხა“. ჯ. მ.)“.



„ქეთიმ ვისკის ჭიქა ესროლა ბარმენს (უნდა იყოს „ქეთიმ ბარმენს ვისკის ჭიქა ესროლა“. ჯ. მ.)“.

„ბოციდან ჩამოსხმულ ლვინოს აჭაშნიკებდნენ“.

„ლუდი და ას-ასი „კრემლიოვსკია“ შეუკვეთეს“.

„ოფიციალტმა კიდევ ას-ასი მოგვითანა“.

„– ესეც ჩავარატყათ და გავიდეთ“.

„ჯირითის თავი არ მქონდა, პახმელიაზე (პირველი პირით მთხრობელ პერსონაჟ ახალგაზრდა მწერალს „პახმელია“ არ ეპატიება – უნდა იყოს ნაბახურეზე ან ნაბახუსეზე. ჯ. მ.) ვიყავი“.

„ფაცხაში შეყუყული კაცები ღვინოს სვამდნენ“.

„– მშვენიერო, დამისხი კონიაკი. – ჭიქა გაუნოდა გეგას“.

„– შენ დაბრუნებას! – მოწრუპა, – სულ გამალოთი!“

„სქელი ჭიქებიდან ვისკის სვამდნენ“.

„გეგა ცოტა ხანში დაბრუნდა შვიდი ბოთლი არყით და ერთი ქილა მფავე კიტრით.“

– გაგიფიქრე, დავიხოცებით. (აქ წერტილი კი არა, ძახილის ნიშანი უნდა იყოს, თანაც სამი. ჯ. მ.)!!!

გეგამ გამჭვირვალე სტაქნები გამოიტანა სამზარეულოდან (უნდა იყოს „გეგამ სამზარეულოდან გამჭვირვალე ჭიქა... ჰა, ჯანი გავარდეს, იყოს ეს სტაქნები, ოღონდ გაუგებარია, ახალგაზრდა მწერალი რის იმედით ხმარობს ამ „სტაქნებს?!“ ჯ. მ.) გამოიტანა. ორი ჭიქა პირამდე გაავსო.

– ოღონდ სადღეგრძელოების გარეშე, სიტყვების გარეშე და ჩუმი, ჯონ ლი ჰუკერის მუსიკის ფონზე.

– თვითონ გამოიმინვით. – მოიმარჯვა ჭიქა ლევანმა (უნდა იყოს „ლევანმა ჭიქა მოიმარჯვა“. ჯ. მ.).

მოარტყეს (ჯობდა, მიუჭახუნეს. ჯ. მ.). ყლუპებით ბოლომდე ჩაცალეს. დაიჭყანენ. ძლიერად (უნდა იყოს ღრმად. ჯ. მ.) ამოისუნთქეს და კიტრი მიაცილეს. მეორედ ჩამოასხეს.

სუთი ბოთლი ჩაცლილი ჰქონდათ. თავები ჩამოეჭინდრათ“.

– არაყი“.

„გეგა, ირა და ლევანი ტეკილას სვამდნენ“.

„– დალევ რამეს? – ჯონ-ტონისკს.“

გეგამ ჯონ-ტონიკი შეუკვეთა ლიზისთვის (უნდა იყოს „გეგამ ლიზისთვის ჯონ-ტონიკი შეუკვეთა“. ჯ. მ.) და ტეკილას გამეორება სთხოვა“.

„სვამდა მხიარული ბარმენის (ცოტა ძნელი წარმოსადგენი კი არის ეს – მხიარული ბარმენი! ჯ. მ.) მიერ ჩამოსხმულ სასმელს“.

„– გეგა, ყვა გინდა? – ნალელიანად ჰკითხა ლიზიმ.“

– არა. ლუდი ხომ არ დარჩა?

– ერთი ბოთლი გადავინახე გუშინ... ძალიან მთვრალი იყავი. – ლიზი გავიდა და გახსნილი ბოთლი შემოიტანა“.

„გეგამ დახლიდარს ლუდის მოტანა ანიშნა“.

„– ცოტა სპირტიანი სასმელი არ განყენდა. – შესთავაზა გეგამ. კატრინის ყოყმანით გაეღიმა, შემდეგ დათანხმდა (უნდა იყოს დასთანხმდა. ჯ. მ.).“

– ორი კუკრი რომი დაგვისხი. კატრინმა რომი მოსვა“.

„პოლიციელები სამ გადამთვრალ ნეპალელს ბამბუკის ჯოხებით სცემდნენ“.

„რომის შესაკვეთად მოსულმა გეგამ ოფიციალტებს დახედა“.

„ალარ დავნერ „ზაპოიანი“, მუდამ პახმელიაზე მყოფ ადამიანებზე“.

„ცივი ლუდი და ესპანური თხლად დაჭრილი ხამონები (უნდა იყოს „თხლად დაჭრილი ესპანური ხამონები“. ჯ. მ.)“.

„შემდეგ ვისკის ჭიქას ბოლომდე გადაკრავ (უნდა იყოს გადაჰკრავ. ჯ. მ.)“.

„– მოდი, აქ შევიდეთ. – ბარისკენ გაიყოლა ირამ გეგა (უნდა იყოს „ირამ გეგა ბარისკენ გაიყოლა“. ჯ. მ.)“.

„– ორი ას-ასი დაგვისხი. – რა დაგვისხათ?“

გადაბმული წერიტა თუ კითხვით გატაცებულ ჯ. მებრძოლს, თანაც მშიერს, გონება სხვა დროსაც ჩამოჰბინდვია, მაგრამ ეს ტექსტი ისეთი გამაზრუებელი აღმოჩნდა, თავბრუსხვევით დაეხვია და შემდეგ ავტორთან შეხვედრა შეუძლებელი გახდა. თუმცა შემდეგ ავტორს ვილა ჩიოდა – ბინდუნდადღა გრძნობდა, ჯდომითაც ძლივს იჯდა! ნეტავი ჟურნალ-გაზეთები ჩაებარებინა და ერთი სუფთა ჰაერზე გასულიყო!

„ღმერთო, ავტორს ეს ცხოვრება და ლიტერატურა ნუთუ მარტო უთავბოლო სმა ჰგონია?!“ – სევდიანად გაეცლო გულში და ჟურნალ-გაზეთების მძიმე დასტა ბარიერამდე რის ვაი-ვაგლახით მიიტანა. გახეტებით შემოჩერებული ბიბლიოთეკის კითხვას – ესენი გადავინახოთ თუ ჩავაბარო, ხელით ანიშნა, აღარ მინდა, ჩააბარეთო და მარმარლოს მოქანავე კიბე სახელურის მოშველებით ძლივს ჩაათავა!

გარეთ, კარიდან ცოტა მოშორებით, ძველ ნაცნობს, გაზეთ „თბილისის“ ყოფილ თანამშრომელს, ჟურნალისტ ინეზა ლეკვიშვილს შეეჩხა.

ქალს თვალები უცებ შუბლზე აასხდა.

– დედა, შენგან მაგას კი არ მოველოდი! – ინეზამ ხმაშეკავებით ამოთქვა და მომუნულ ტუჩებზე ორი თითი იმედაცრუებით მიიკრა, – ბიბლიოთეკაში ნასვამი რამ მოგიყვანა, ბიჭო?!“

– ვინა, მე?! – ოზაანელს ელდინი დამცირებისაგან მუხლები უარესად მოეკვეთა, მაგრამ თვალის ელვისებურად რომ აეხილა, მის თავს თურმე რა უბედურებაც იყო, ჩათრევას ჩაყოლა ამჯობინა, – ოჰ, რა ვიცი... ნელან ბიჭებმა სულ არევიტ მასვეს არაყი, კონიაკი, შამპა...“

– მერე, აქ რალას მოდიოდი – შინ ვერ ნახვდი?!. ან პოლიციელებმა როგორ შემოგატარეს?!. ნელა, ნელა!.. გაჩერებამდე ხომ არ მიგიყვანო?

– არა, არა!.. არც ისე ვარ, რომ... მე თვითონ!

– კარგი, აბა! ინეზა ბიბლიოთეკის კარში რომ გაუჩინარდა, თავდაზღვევის მიზნით ქიზიყელმა გზა კედელ-კედელ განაგრძო. ლადო გუდიაშვილის ძეგლს რაცრაცით გაუარა და ბალის პირველივე მერხზე შვებით დაებრტყა. შეყვარებული წვეილი უმაღლეს მოუდვა და ფეხჩაქარებით გაერიდა.

სუთოდე ნუთმი ბრულამ გაუარა, გონება ისევ დაენმინდა და შვებით ამოესუნთქა.

– მეც უნდა ვთქვა, კაცი ვარო, – დაცინვით ჩაილაპარაკა, – წინასწარმოცხადებული!



აბასთუმანი. 1937 წელი. ფოტო მოგვანოდა რეზო პატრიარქილია

ნარილი რაქაშიანს

„აშტოს“ ვერხვის ხე სოფელ არაღში

ადიგენის მუნიციპალიტეტის სოფელ არაღის ტერიტორიაზე, ხოდაბუნებში, ცენტრალური გზის აღმოსავლეთით, ე.წ. სტეფანე ჩილინგარაშვილის ყანასთან, მრავალსაუკუნოვანი ხე დგას. თანასოფლელები სტეფანე ჩილინგარაშვილს თიკუნად, „აშტოს“ ეძახიან, იმის გამო, რომ საუბრისას იგი ხშირად იყენებს რუსულ სიტყვას „აჩტოს“ და ხეც მის სახელს ატარებს. ბავშობიდანვე მაინტერესებდა ამ ვერხვის ნლოვანება, მაგრამ ვერსად გავარკვიე.



რამდენიმე წლის წინ თელავში ვნახე, როგორც თელაველები ამბობენ, 900-წლოვანი ჭადრის ხე, რომლის შტამბის გარშემოწერილობა 12 მეტრია. ამიტომ მეც გამიჩნდა აზრი – თუ 12 მეტრის გარშემოწერილობა აქვს თელავის ჭადრის ხეს და მისი ასაკი 900 წელია, „აშტოს“ ვერხვის შტამბის გარშემოწერილობა 5,30 მეტრია, ე.ი. თითქმის ნახევარი ზომაა თელავის ჭადრის ხისა, მაშინ გამოდის, რომ „აშტოს“ ვერხვიც დაახლოებით 400 წლამდე უნდა იყოს, მაგრამ, იმასაც ვფიქრობ, – ვერხვის სიახლოვეს სარწყავი არხია (თუმცა ყოველთვის არ არის შიგნით), შეიძლება ამ ვერხვის ზრდას წყალიც უწყობდეს ხელს და მის ნლოვანებას თუნდაც 100 წელიც რომ გამოვაკლოთ, სავარაუდოდ, ეს ვერხვი 300 წლისა მაინც უნდა იყოს. რაც დიდ იშვიათობას წარმოადგენს მესხეთში. ამიტომ კარგი იქნება თუ ამ ხის ნლოვანებას განსაზღვრავენ სპეციალისტები და ჩემი ვარაუდი თუკი გამართლდა, მიზანშეწონილად ვთვლი, „აშტოს“ ვერხვს გაუკეთდეს შესაბამისი ანოტაცია, რაც ხელს შეუწყობს დამოუკიდებელი მოზიდვას.

ნოდარ კახაძე-პაპიანი, ადიგენის მუნიციპალიტეტი, სოფ. არაღი

ფოლკლორი

ღმერთმა დალოცოს კეთილი გული

ენა

ყველა ქართველი დალოცოს ღმერთმა, ვის გულზეც გადის ყველას ტკივილი, ვისაც აწუხებს ბედი მოყვასის და არ ასვენებს სისხლის ყივილი. ყველა ქართველი დალოცოს ღმერთმა, ვინც თავის საქმეს მიუძღვნა გული, ვინც არ გახდა მონა ფულისა, არ ნაენწყმიდა ცდუნებით სული. ყველა ქართველი დალოცოს ღმერთმა, ვინაც ბოლომდე დარჩა ქართველი, ვინც საქართველოს ნაღდი შეიღია და მისთვის იწვის, როგორც სანთელი. ყველამ ვაკეთოთ საკეთებელი, რაც რომ ყოველის წმინდა ვალია, მჯერა, უთუოდ მივაღოთ იქამდე, სადაც ქართველთა მომავალია.

ენას ტკილს და კეთილსა ამინდი მოაქვს მზიანი, ღვარძლიანსა და ბოროტსა მოაქვს დარდი და ზიანი. დაფიქრდი, ვიდრე იზრახავ, სანამ არ არის გვიანი, მეორედ აღარ შეცდება, ერთხელ შემცდარი ჭკვიანი. ენას ამოსდე ლაგამი, თორემ იქნები მტრიანი, ორმაგად დაგიბრუნდება ნათქვამი აუგვიანი.

ავტორ-მთქმელი ზაურ ჯვარიძე, 76 წლის. ასპინძის მუნიციპალიტეტის სოფელი ჭობარეთი

შეხვედრა მუხრანთან

ქართველ და სომეხ მწერლებს ერთმანეთთან ოდითგან ახლო ურთიერთობა ჰქონდათ. აკაკი წერეთელი, იოსებ ნონეშვილი, ავეტიკ ისაკიანი, ჰოვანეს თუმანიანი წრეები გულით იდგნენ სომხურ-ქართული ლიტერატურული ურთიერთობების სათავეებთან, სხვებზე რომ არაფერი ვთქვათ, ჯვავახეთის მაღლიანი მინის შვილი ვაჰან ტერიანი სისხლხორცულად იყო დაცემილი ქართველ მწერლებთან. ქართულ-სომხურ ლიტერატურულ კეთილ ურთიერთობებზე ისიც მეტყველებს, რომ ერთ დროს სახელმწიფოებრივ დონეზე იდგა მთარგმნელობითი მუშაობა და ორივე მეზობელი ქვეყნის მწერლებს კარგად იცნობდა როგორც სომეხი, ასევე ქართველი მკითხველი. ამას ასევე ხელს უწყობდა სისტემატური შეხვედრები ადგილობრივ მოსახლეობასთან. უფრო მეტიც, 50-წლოვანი ტრადიციული „შოთაობის“ და „ტერიანობის“ სახალხო დღესასწაულებს ესწ-

ქართველი, ასევე სხვა ეროვნების და მათ შორის სომეხი მკითხველიც. მოსწავლეები დიდი ოვაციებით შეხვდნენ ცნობილ მწერალს. ღონისძიება გაიხსნა საქართველოს პიმნით, რომელსაც უძღვებოდნენ მეცხრე კლასის მოსწავლეები, მის ორგანიზებაში კი მთელი სკოლა ლებულობდა მონაწილეობას. მიუხედავად იმისა, რომ სკოლა არაქართულენოვანია, მთელი ღონისძიება ქართულ ენაზე ჩატარდა. ნიშანდობლივია, რომ ჩვენს სკოლაში წარმატებით მიმდინარეობს ქართული ენის სწავლება, მოსწავლეთა მნიშვნელოვანი ნაწილი მონდომებით ეუფლება ქართულ ენას, რადგან იციან, რომ სახელმწიფო ენის არცოდნა, უპატივცემლობა იმ ერისა, რომელ ქვეყანაშიც ვცხოვრობთ. ღონისძიების ნაშედეგად გოაპარ რაფაელიანმა მოსწავლეებს გააცნო ვასილ გულერის ბიოგრაფია და საინტერესოდ ისაუბრა



რებოდნენ როგორც საქართველოს ასევე სომხეთის მწერალთა დელეგაციები. ქართველ მწერლებთან შეხვედრების კარგი ტრადიცია ჩამოყალიბდა ნინოწმინდის მუნიციპალიტეტში, რადგან კარგად ვიცით, რომ ხალხთა შორის მეგობრობა, უპირველესად, კულტურასა და მწერლობაზე გადის. მწერლობა მთავარი ხილია ხალხთა შორის მეგობრობისა. მიუხედავად იმისა, რომ თანამედროვე ტექნიკურმა პროგრესმა ახალგაზრდობა თითქოს დააშორა ცოდნის უპირველეს წყაროს – წიგნს, მისდამი სწრაფვა კიდევ უფრო გაძლიერდება თუ განათლების სფეროს მუშაკები – შედგაგო-აღმზრდელები, გამოვიჩინებ მეტ ინიციატივას და ცდას არ დავაკლებთ ახალგაზრდობას შევყვართ წიგნს – ცოდნის უპირველესი წყარო. წიგნის სიყვარული კი ლიტერატურული წიგნების კითხვით იწყება.

მის შემოქმედებზე. აქვე ნაკითხული იქნა მისი დანერვილი პირველი ლექსი. ბუკერიატორის მეშვეობით ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების მასწავლებლებმა როდესმე არიან ნარადგინა რვა „ცოცხალი წიგნი“, რომელთაგან ერთი ზღაპარი ნაიკითხა მეოთხე კლასის მოსწავლემ სვეტლანა არიანამ. ვ. გულერთან თავის ერთგულ მკითხველებს გააცნო როგორც რჩეული საბავშვო ლექსები, ასევე მოუთხრო თავისი ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ, გაიხსენა პირველი ლექსით გამოწვეული სიხარული, თუ რამ განაპირობა მისი საბავშვო პოეზიით დაინტერესება. იქვე აღნიშნა, რომ იგი პირველად იმყოფება ჯვავახეთის არაქართულენოვან სკოლაში შეხვედრაზე და განუსაზღვრელად დიდი სითბო და სიყვარული მიიღო მათგან.

პრაქტიკამ გვიჩვენა, რაც უფრო ხშირია ლიტერატურული შეხვედრები, მოსწავლე-ახალგაზრდობას მეტი ინტერესი უჩნდება მწერლების მიმართ. თითოეული შეხვედრიდან მიღებული განცდა, სიამოვნება, დიდხანს გაჰყვებათ ხოლმე და კვლავაც უჩნდებათ მომავალი შეხვედრების ინტერესი, როგორც ეს ამასწინათ ჩატარებულმა საინტერესო შეხვედრამაც დაადასტურა. ნინოწმინდელი ახალგაზრდები არ არიან განევიერებულნი თანამედროვე ქართველ მწერლებთან შეხვედრებით, თუმცა ინტერესმოკლებულები არც არასოდეს ყოფილან. 18 ივნისი სსიპ ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის სოფელ უშტის მთავარ საჯარო სკოლის მოსწავლეებისა თუ შედგაგო-აღმზრდელებისთვის ერთ-ერთ დაუფინყარ დღედ დარჩება. იმ დღეს საზეიმო განწყობა სუფევდა როგორც სკოლაში, ასევე მთელ სოფელში, იმის გამო, რომ სკოლას სტუმრობდა ცნობილი ქართველი საბავშვო მწერალი ვასილ გულერი, რომლის ლიტერატურულ შემოქმედებას (ზღაპრები, ლექსები, მოთხრობები) კარგად იცნობს როგორც

ვასილ გულერის დიდი ხანია ამ სკოლასთან „ონლაინ“ რეჟიმში უხდება ურთიერთობა და ამ შეხვედრამ კიდევ უფრო მეტი სტიმული მისცა, რომ მომავალშიც ანალოგიური შეხვედრები განახორციელოს ჯვავახეთის სკოლებში და მეტი გააკეთოს საბავშვო მწერლობის განვითარების საქმეში. ცნობისათვის: ემტიელი ბავშვები 2012 წლიდან ჩართულნი არიან „ჯიპრადი პროექტში“, რაც წარმატებით ხორციელდება. ღონისძიება გაიმართა პედაგოგ რიფსიმე არიანის ინიციატივითა და მისივე აქტიური მონაწილეობით. შეხვედრას ესწრებოდნენ საქართველოს პარლამენტის წევრი სუმბატ კოურელიანი, მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე ვან არიანი, ზურაბ უვანიას სახელობის ადმინისტრაციული სკოლის კოორდინატორი ემირა ქსპიანი, რესურსცენტრის თანამშრომელი ელმირა დარბინიანი, ამავე სკოლის კურსდამთავრებული, ბიზნესმენი თოვმას ვარდანანი. ლალაზარ არიანი, სსიპ უშტის II საჯარო სკოლის დირექტორი

გაზეთ „ლიტერატურული მესხეთის“ ელექტრონული ვერსია შეგიძლიათ იხილოთ შემდეგ მისამართზე: WWW.SCFI.CO; fcoo: ლიტერატურული მესხეთი

დამფუძნებლები: ფიზიკური პირი ავთანდილ ბერიძე სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი
გაზეთი რედაქცია სარგებლობს თავისუფალი პრესის პრინციპებით და ავტორის მოსაზრებებსა და გამოხატვამებზე პასუხს არ აგებს
კომპიუტერული უზრუნველყოფა ირმა ჯიშკარიანის
რედაქტორი ავთანდილ ბერიძე სარედაქციო საბჭო: დურმიშან ბერიძე, მერაბ ბერიძე, ვახტანგ ინაური, სოსო გიქოშვილი
გაზეთი დაიბეჭდა შპს „საარის“ სტამბაში მისამართი: ქ. თბილისი, თევდორე მღვდლის 57. ტელ: 2.94-14-32
რედაქციის მისამართი: 0500, დაბა ასპინძა, თამარის ქ. N3, ტელეფონი მთავარი რედაქტორის: 599 97 95 24 lit_meskheti@gmail.com lit_meskheti@yahoo.com